დანართი

პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი

2023

შინაარსი

პრეამბულა. მოქმედი შემოკლებები და განმარტებები 3
მუხლი 1. ზოგადი დებულებები 5
მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შიდა სამართლებრივი საფუძვლები 5
მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის უფლებები 5
მუხლი 4. დისციპლინური საქმისწარმოებისას პროფესიული სტუდენტის უფლებები 7
მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი დაცვაზე პასუხისმგებლობა 7
მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები 7
მუხლი 7. პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევაზე რეაგირება 8
მუხლი 8. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები 8

პრეამბულა. მოქმედი შემოკლებები და განმარტებები

1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს მსოფლიო განათლების აკადემიის მთელი პერსონალისათვის;
2. წინამდებარე დოკუმენტი:
   1. შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ;
   2. დამტკიცებულია მსოფლიო განათლების აკადემიის მმართველი საბჭოს მიერ;
   3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
3. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებები მუშავდება და შედის საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დოკუმენტი;
4. აღრიცხული ეგზემპლარების სიის წარმოება და დაგზავნა ხორციელდება კანცელარიის მიერ;
5. წინამდებარე დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
   1. მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორთან (ორიგინალი);
   2. მსოფლიო განათლების აკადემიის კანცელარიაში (ელ.ვერსია).
6. დოკუმენტის ნორმატიული საფუძველი:
   1. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი;
   2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
   3. საქართველოს კანონი პერსონალურ მონცემთა დაცვის შესახებ;
   4. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
   5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის ბრძანება №99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
   6. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები;
   7. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
   8. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი.

მსოფლიო განათლების აკადემიაში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები

ხს - ხარისხის სისტემა;

სდ - საინფორმაციო დოკუმენტი;

ნდ - ნორმატიული დოკუმენტი - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

თანამდებობრივი ინსტრუქცია - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული პერსონალის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;

დოკუმენტი - ინფორმაცია და შესაბამისი მატარებელი;

დოკუმენტის ორიგინალი - დოკუმენტის ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნია თანამდებობის პირის ნამდვილი ხელმოწერა;

აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;

შესაბამისობა - მოთხოვნების შესრულება;

შეუსაბამობა - მოთხოვნების შეუსრულებლობა;

მაკორექტირებული მოქმედება - მოქმედება, რომელიც მიმართულია აღმოჩენილი შეუსაბამობის მიზეზის, ან სხვა სპეციალური
არასასურველი სიტუაციის აღმოსაფხვრელად;

ასარიდებელი (გამაფრთხილებელი) მოქმედება - მოქმედება, რომელიც მიმართულია პოტენციური შეუსაბამობის მიზეზის, ან სხვა
სპეციალური არასასურველი სიტუაციის აღმოსაფხვრელად;

კონტროლი	-	შესაბამისი გაზომვის, გამოცდის ან დაყალიბების მეთვალყურეობის და შეფასების პროცედურა;
აუცილებელი ნორმები	-	სახელმწიფოს მიერ დადგენილი საერთაშორისო და ეროვნული კანონები, კოდექსები, კონვენციები, სტანდარტები, ნორმები და წესები;
პროცედურა	-	ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც ადგენს მსოფლიო განათლების აკადემიაში ამა თუ იმ პროცესის შესრულებისათვის მოქმედებების თანმიმდევრობას;
პროცესი	-	საქმიანობის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი სახეების ერთობლიობა;
მომხმარებელი	-	ორგანიზაცია ან პირი, რომელიც სარგებლობს მსოფლიო განათლების აკადემიის მომსახურებით;
მიმწოდებელი	-	ორგანიზაცია ან პირი, რომელიც აწვდის მომსახურებას;
კონტრაქტი	-	ორ მხარეს შორის შეთანხმებული მოთხოვნები, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტირებული სახით;
ინფორმაცია	-	მნიშვნელოვანი მონაცემები;
აკადემია	-	შპს მსოფლიო განათლების აკადემია.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს მსოფლიო განათლების აკადემიის (შემდგომში „აკადემია“) პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი (შემდგომში „წესი“) ადგენს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და მათი დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს;
1.2. ამ წესის მიზანია აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშესაწყობად ქმედითი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შიდა სამართლებრივი საფუძვლები

2.1. აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შიდა სამართლებრივი საფუძვლებია:
ა) აკადემიის შინაგანაწესი;
ბ) აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის დებულება;
გ) აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტები;
დ) პროფესიულ სტუდენტთან (ან მის კანონიერ წარმომადგენელთან) გაფორმებული ხელშეკრულება;
ე) სხვა სახის აქტით ან დოკუმენტით, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა უფლებების დაცვას;
2.2. აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესები და შიდა მარეგულირებელი აქტები განსაზღვრავს აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, შეწყვეტასთან, მობილობასთან, მიღებული/ფორმალური განათლების აღიარებასთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს;
2.3. პროფესიულ სტუდენტსა და აკადემიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება იცავს პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სწავლის პირობები, აკადემიისა და პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, სწავლის საფასური და ანგარიშსწორების წესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სადაო საკითხების გადაწყვეტის წესი და სხვა;
2.4. აკადემიის შინაგანაწესი შედგენილია აკადემიის ღირებულებების, კანონმდებლობისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სხვა საკითხებთან ერთად, ადგენს პროფესიულ სტუდენტთა ქცევის ნორმებს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროფესიულ სტუდენტსა და აკადემიას შორის ურთიერთობის პროცესში;
2.5. პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები გარანტირებულია ასევე აკადემიის ისეთი შიდა მარეგულირებელი აქტებით, როგორიცაა პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი, სტუდენტური ინიციატივებისა და ექსტრაკურიკულური აქტივობების დაგეგმივსა და განხორციელების მექანიზმები და სხვა;
2.6. პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა ასევე ხორციელდება საქართველოს კანონდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის უფლებები

3.1. ყველა ის პირი, რომელიც პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით და დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს აკადემიის პროგრამებზე, სარგებლობს პროფესიული სტუდენტის სტატუსით;

3.2. ყველა პროფესიული სტუდენტი თანასწორია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების წინაშე. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის რაიმე ფორმით დისკრიმინაცია;
3.3. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:
ა) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
ბ) სასამართლოში გაასაჩივროს აკადემიის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;
გ) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;
დ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
ე) აკადემიის წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
ვ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აკადემიის დებულების შესაბამისად;
ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
ზ) საქართველოს კანონმდებლობისა და აკადემიის წესდების შესაბამისად სახელმწიფოსგან, აკადემიისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
თ) ისარგებლოს მობილობის უფლებით კანონმდებლობითა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესით;
ი) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
კ) პერიოდულად მოახდინოს პერსონალის მუშაობის შეფასება;
ლ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;
მ) ისარგებლოს აკადემიის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სერვისით;
ნ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, ხელშეკრულებით და აკადემიის მარეგულირებელი აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.
3.4. აკადემია ვალდებულია:
ა) არ გაასაჯაროს პროფესიული სტუდენტის მიერ პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს პროფესიული სტუდენტის ნებართვა ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები;
3.5. საკუთარი უფლებამოსილებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამოიყენოს იმგვარად, რომ არ შეექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, გარდა კანონმდებლობით და აკადემიის რეგულაციებით განსაზღვრული შემთხვევებისა;
3.6. დაიცვას პროფესიული სტუდენტის პირადი მონაცემები. პერსონალური მონაცმები დაამუშაოს პროფესიული სტუდენტის მხრიდან თანხმობის მიღების შემდეგ;
3.7. პროფესიულ სტუდენტს გააცნოს აკადემიაში მოქმედი შიდა მარეგულირებელი აქტები (შინაგანაწესი, აკადემიის მისია, ხედვა ღირებულებები, წინამდებარე წესი და სხვა, ხელშეკრულებასთან ერთად);
3.8. პროფესიულ სტუდენტს გააცნოს შრომის უსაფრთხოების წესები/ნორმები.

მუხლი 4. დისციპლინური საქმისწარმოებისას პროფესიული სტუდენტის უფლებები

4.1. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აკადემიის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კანონმდებლობის დაცვისა და სამართლიანი პროცედურების განხორციელების გზით;

4.2. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს მის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, აკადემიის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას;

4.3. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს სათანადო ორგანოებს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს სათანადო ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯაროდ და განსაზღვროს პირები, რომელთა სხდომაზე მონაწილეობა მიაჩნია მართებულად;

ვ) სასამართლოში გაასაჩივროს აკადემიის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

4.4. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და რეგულაციებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი დაცვაზე პასუხისმგებლობა

აკადემიაში პროფესიული სტუდენტის უფლებების და კანონიერ დაცვას უზრუნველყოფს:

ა) აკადემიის მმართველი საბჭო;

ბ) სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფები;

გ) პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი;

დ) სასწავლო პროცესის მენეჯერი;

ე) პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;

ვ) პროგრამის განმახორციელებელი;

ზ) აკადემიის ადმინისტრაცია;

თ) აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები

აკადემიაში პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით ხორციელდება:

ა) პროფესიულ სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფების მიერ სტუდენტური მხარდაჭერის პროექტების განხორციელება, პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა აკადემიაში;

ბ) პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერის მიერ პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ქმედებები და დასაქმების მხარდაჭერა;

გ) აკადემიის ადმინისტრაციის მიერ პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა და საჭიროებებზე რეაგირება;

დ) აკადემიის მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამები;

ე) პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო კომპონენტში მიღებული შეფასების გასაჩივრება;

ვ) პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულება;

ზ) სასწავლო პროცესში კონსულტირება და მხარდაჭერა;

თ) პროფორიენტაციის განხორციელება;
ი) სხვა ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვას.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევაზე რეაგირება

7.1. პროფესიული სტუდენტი, რომელიც იგრძნობს რომ დაირღვა მისი უფლებები ან/და კანონიერი ინტერესები, წერილობით მიმართავს აკადემიის დირექტორს;
7.2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის წერილობითი განცხადება მატერიალურად ან ელექტრონულად ბარდება აკადემიის კანცელარიას;
7.3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის წერილობითი განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის რომელი უფლება ან კანონიერი ინტერესი იქნა დარღვეული, რაში გამოიხატა ამ უფლების/ინტერესის დარღვევა, ვინ მიიღო მონაწილეობა პროფესიული სტუდენტის უფლების/ინტერესის დარღვევაში, როდის განხორციელდა უფლების/ინტერესის დარღვევა და სხვა ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ანალიზს. განცხადებას შეიძლება დაერთოს შესაბამისი მტკიცებულება;
7.4. ამ მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე მიღებულ განცხადებას აკადემიის დირექტორი დაუყოვნებლი იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას საკითხის განხილვის მიზნით, კომისიის შექმნის თაობაზე;
7.5. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის განაცხადში მოყვანილი ფაქტები მარტივად ადმინისტრირებადია და იძლევა შესაძლებლობას არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, დაკმაყოფილდეს სტუდენტის მოთხოვნა, აკადემიის დირექტორი თავად იღებს გადაწყვეტილებას;
7.6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, კომისიის შექმნის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, იწყება აკადემიის შინაგანაწესით განსაზღვრული პროცედურები, დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ.

მუხლი 8. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

8.1. წინამდებარე დოკუმენტი მტკიცდება აკადემიის მმართველი საბჭოს მიერ. მმართველი საბჭოს არჩევამდე, წინამდებარე დოკუმენტი მტკიცდება აკადემიის დირექტორის მიერ;
8.2. წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის მისი დამტკიცებისთანავე;
8.3. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება აკადემიის წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლამდე მოცემული მექანიზმების მოქმედი მომწესრიგებელი წესები;
8.4. აკადემიის ყველა თანამშრომელი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე დოკუმენტს და შეასრულოს მისი მოთხოვნები; 8.5. აკადემიის ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დოკუმენტის გაცნობის შესაძლებლობა;
8.6. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, იურისტი, პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი და სხვა პირები უფლებამოსილების შესაბამისად;
8.7. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
8.8. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება დოკუმენტის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
8.9. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით და აკადემიაში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.